ხელშეკრულება N36

3 დეკემბერი2015 წელი

ქ. ამბროლაური

ერთის მხრივ, თვითმმართველი თემი ამბროლაურის კულტურის ცენტრი (შემდგომში – შემსყიდველი) ამბროლაურის კულტურის ცენტრის დირექტორი გია გეწაძე და მეორეს მხრივ ი/მ დავით კობახიძე(შემდგომში–მიმწოდებელი) დავით კობახიძის სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ქ.თბილისში,მუსიკალურ სტუდიაში ჩაწეროს თ/თ ამბროლაურის კულტურის ცენტრთან არსებული ბენდ „Art New Life"-ის 4 სიმღერა.ასევე წარმოადგინოს აღნიშნული სიმღერების გაორკესტრებული და საბოლოო ვერსიები.

2. შეყიდვის ობიექტი

2.1 ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ქ.თბილისში,მუსიკალურ სტუდიაში ჩაწეროს თ/თ ამბროლაურის კულტურის ცენტრთან არსებული ბენდ „Art New Life"-ის 4 სიმღერა.ასევე წარმოადგინოს აღნიშნული სიმღერების გაორკესტრებული და საბოლოო ვერსიები.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება 3200(სამი ათას ორასი)ლარით

3.2 შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასი განისაზღვრება წინასწარი ჩარიცხვით

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1 შესყიდვის ობიექტის ვადა განისაზღვრება 2015 წლის 31 დეკემბრამდე

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. ამბროლაური

5.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (სასაქონლო ზედდებული, საგადასახადო ანგარიშფაქტურა)

6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

6.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს გია გეწაძე თვითმმართველი თემი ამბროლაურის კ/ ცენტრის დირექტორი.

6.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

6.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

7. სხვა პირობები

7.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობით თანხმობის გარეშე.

7.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

7.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

7.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას, შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
თვითმმართველი თემი ამბროლაურის	ი/მ დავით კობახიძე
კულტურის ცენტრი	
მისამართი ამბროლაური თამარ-მეფის ქN1	მისამართი ამბროლაური.
ტელეფონი 599 15 61 08	ანგ.N GE60LB0112184392129000
საიდენტიფიკაციო კოდი 422934873	საიდენტიფიკაციო კოდი 04001000505
სს ლიბერთი ბანკი ამბროლაურის ფილიალი	სს ლიბერთი ბანკი ამბროლაურის ფილიალი
ბ/კ 220101421	ბ/კ LBRT 22
დირექტორი /გ.გეწაძე/	ი/მ /დ.კობახიძე/